

დანართი №4

2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. №08-14 (CMR 140158543) ხელშეკრულებაზე

თბილისი

25. 02. 2016

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მაია ქალიაშვილის სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს საპროექტო – საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ტალი ტალიაშვილის სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2016 წლის 25 თებერვლის №1346-2 მოხსენებითი ბარათის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.6 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება საავტომობილო გზების და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის გაწევის საპროექტო მომსახურების შესყიდვის შესახებ მხარეთა შორის 2014 წლის 13 ოქტომბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. N08-14 ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში.

2. წინამდებარე დანართის პრეამბულაში აღნიშნულ მოხსენებით ბარათში მითითებული საფუძვლიდან გამომდინარე, საპროექტო მომსახურების თანხა იზრდება 32 795.24 (ოცდათორმეტი ათას შვიდას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 24 თეთრი) ლარით დღგ-ს ჩათვლით და იგი შეადგენს 3 025 295.24 (სამი მილიონ ოცდახუთი ათას ორას ოთხმოცდათხუთმეტი ლარი და 24 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. ზემოხსენებული ცვლილება იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. N08-14 ხელშეკრულების ფასი.

4. წინამდებარე დანართზე თანდართული, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი და შემსყიდველთან შეთანხმებული კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი).

5. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

6. წინამდებარე დანართი მასზე თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

7. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
მაია ქალიაშვილი



მიმწოდებელი
შპს საპროექტო – საკვლევადიებო
ინსტიტუტი
„ტრანსპროექტი“
დირექტორი
ტალი ტალიაშვილი



Handwritten signatures in blue ink at the bottom of the page.

კორპორატიული ხარჯთაღრიცხვა

საავტომობილო გზების და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების გაწევა

ძირითადი საპროექტო მომსახურება

საპროექტო მომსახურების დასახელება	საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების სავარაუდო ღირებულება	სატენდერო წინადადება	
		საპროექტო ღირებულება (%)	მთლიანი ღირებულება (ლარი)
1	2	3	4
საავტომობილო გზების და ხელოვნური ნაგებობების რეაბილიტაციის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა			2 311 749.40
დღგ 18%			416 114.89
სულ ძირითადი საპროექტო მომსახურება დღგ-ს ჩათვლით	114 285 714		2 727 864.29
დამატებითი მომსახურებისათვის საჭირო ხარჯები			297 430.95
მთლიანად			3 025 295.24

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

შ.პ.ს. საპროექტო-საკვლევაძიებო ინსტიტუტ "ტრანსპროექტის" გენერალური დირექტორი



[Handwritten signature in blue ink]

ნუგზარ გასვიანი



[Handwritten signature in blue ink]

ტალი ტალიაშვილი

[Handwritten signature in blue ink]